

F
19145



ტფილისის უნივერსიტეტის მთავარი
Bulletin de l'Université de Tiflis


პროფ. გიორგი ახვლედიანი

რუსური ენის ისტორიისათვის.

ტფილისი
1925

ს. ს. შ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა

Handwritten signature or mark at the bottom left.



ოსური ენის ისტორიისათვის *

გიორგი ახვლედიანისა.

I დიალექტთა განრიგება გაპალატალეზულ ველარ თანხმოვანთა და აფრიკატთა მიხედვით.

1. ოსური ენის დიალექტებად განშტოების საკითხში უკანასკნელი სიტყვა ითქვა ვს. მილლერის მიერ.¹ მისი აზრით ოსურ ენას შეადგენს ორი მთავარი დიალექტი: I. დასავლეთ-ოსური ანუ დიგორული (უმთავრესად მდინ. ურუხის ხეობაში) და II. აღმოსავლეთ-ოსური ანუ ირონული; ამ მეორე დიალექტით მეტყველობენ ვალაგირლები (მდინ. არდონის ხეობაში), ქურთათლები (მდინ. საუდონისა და ჭიაგდონის ხეობებში) და თაგაურლები (მდინ. გიხელდონის ხეობაში). აღმ.-ოსური ანუ ირონული დიალექტი საფუძვლად დაედო ოსურ სამწერლო ენას. ამავე ირონულ დიალექტს ვ. მილლერი მიაკუთვნებს „სამხრეთ-ოსურს“ ანუ „დვალურს“ ქვედიალექტის სახელწოდებით (Милл. II. 30 და შემდ., Mill. 2 და შემდ.)². ისტორიულ-ტერიტორიული თვალსაზრისით ეს განშტოება ვს. მილლერს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: ოდესღაც მთლიანი ერი გაიყო ტერიტორიულად ორ შტოდ; მათ შორის მისვლა-მოსვლა შესუსტდა... დასავლური შტო (აწინდელი დიგორლები) უარეს პირობებში მოხვდა, ვიდრე აღმოსავლური (აწინდელი ირონლები); ამიტომ დიგორელთა განვითარება საერთოდ უფრო ნელის ნაბიჯით მიდიოდა წინ, ვიდრე ირონელთა. ამ განსხვავებამ თავი იჩინა ენის განვითარებაშიაც... ამიტომ ოსური ენის უძველესი სახის აღსადგენად უფრო ხშირად უპირატესობა უნდა მიეცეს (უფრო დიალექტს, როგორც უფრო არქაიული სახის დამცველს... ბოლოს მკვლევარი დასძენს: „თავის მხრივ ირონული დიალექტი წარმოადგენს რამდენსამე კილოკავს, რომელთაგანაც სამხრულმა, ამიერკავკასიისამ, განიცადა რამდენადმე ქართული ენის გავლენა“ (Милл II. 44—45).

გამოჩენილი მკვლევარის ამ მსჯელობაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს „სამხრეთ-ოსურის ანუ დვალურის“ აღიარება ირონულის (აღმ.-ოსურის) ქვედიალექტად.

* წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების 1925 წლის სტუდენტურების სხდომაზე.

1) В с е в. М и л л е р, Осетинские Этюды. ч. II. Москва 1882, Wsew. Miller, die Sprache der Osseten, Strassburg 1903.

2) ოსური ენის დიალექტთა ასეთი განრიგება მოახდინა ჯერ კიდევ აკად. Sjögrenმა თავის „Iron Awzagaxur das ist ossetische Sprachlehre...“-ში, St. Petersburg 1877. გვ IX, XX. და passim.

1925

ტად, ერთერთ კილოკავად. ჯერ ერთი ის, რომ ვ. მილლერს თანასწორობის ნიშანი დაუსვამს „სამხრ.-ოსურსა“ და „დეალურს“ შორის: ეს სიმართლეს არ შეეფერება (ამის შესახებ იხ. ქვემოთ § 4). მეორე ის, რომ, როდესაც მკვლევარი ირონულის კილოკავებზე მოგვითხრობს, ის გულისხმობს (სამხრულს გარდა) ვალა-გირულს, ქურთათულს და თავაჭურულს; მაგრამ ამით შორის განსხვავება უარყოფილია მის მიერვე.¹ გამოდის, რომ, „სამხრეთ-ოსური ანუ დეალური“ (მილ-ლეის ტერმინით) არაფრით არ განსხვავდება ირონულისაგან (=ალმ.-ოსურს) გარდა „რაოდენადმე ქართული ენის გავლენისა“, რომელიც მან განიცადა ქარ-თულთან მეზობლობის გამო.

ამართლებს თუ არა ოსური ფაქტები დიალექტთა ასეთ განრიგებას? დას-მულ კითხვაზე ამ ჟანრად პასუხს გავსცემთ ორი მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენის განხილვით, სახელდობრ: 1) გაპალატალეზულ ველარ თანხმოვანთა და 2) აფრიკატთა რეფლექსების მიხედვით ოსურ დიალექტებში. აღნიშნავ აქვე, რომ ვ. მილლერთან შედარებით ახალ საოპერაციო მასალად გამომაქვს ი. იალღუზიძის ტექსტები,² რომელიც უნდა წარმოადგენდენ კოშკა-ჯავა-კუდაროს რაიონის დიალექტს, მოკლედ „დეალურს“ (ტერმინი პირობითია, იხ. ქვემოთ.). ამავე რაიონის ენის დღევანდელ სახეს ამიერიდან ვუწოდებთ დეალურის ახალ საფეხურს. ხოლო ი. იალღუზიძის მიერ დადასტურებულ სახეს დეალურის ძველ საფეხურს. ამ უკანასკნელი (ძველი) საფეხურისათვის გამოვიყენებთ აგრეთვე G. Rosen-ის შრომას,³ რომელსაც აქ წამოყენებული სა-კითხებისათვის ვ. მილლერმა ანგარიში არ გაუწია.

2. ოსურის ძველი ველარი თანხმოვნები გქკ შენახული აქვს უცვლელად ყველა დიალექტს ყოველგვარ პირობებში, გარდა პალატალ ხმოვანთა წინ მდებარეობისა; ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი ეს ველები გვევლინება გაპალატალეზულ ველართა სახით დიგორულსა და დეალურ დიალექტში, ხოლო ირო-ნულში შესაფერი (შიშინა) აფრიკატების (ჯჩქ) სახით, მაგ.:

დიგ. ლაჯა, დვალ. (იალღ.) ლაჯე, ირონ. ლაჯჟ „კაცის“ (ნა-თეს. მხოლ. რიც. ლაგ-ისა)

დიგ. ქირისაა, დვალ. (იალღ.) ქირესდი, ირონ. ჩირესთი „ქრისტე“

დიგ. ჯირა, დვალ. (Rosen 29 I) ჯარი, ირონ. ჯირი „კირი“⁴.

მაშასადამე, რბილ ხმოვანთა წინ

1) „ნამდვილად კი თავაჭურლები მეტყველობენ იმავე დიალექტით, რომლითაც ვალაგი-რლები და ქურთათლები“ (но в действительности Тагаурцы говорят тем же диалектом, как Алагирцы и Куртатины), Милл. II 30.

2) გ. ახვლედიანი, Dativus praedicativus ოსურ ენაში (ტფ. უნივ. მოამბე III გვ 127) და პროთეტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში (ჩვენი მეცნიერება 14 2-3 გვ. 64).

3) Ueber die Ossetische Sprache von G. Rosen. ოსური ენის გრამატიკა ამ შრომაში დღეს უკვე დაძველებულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს. თუ როგორ-გადმოგვცემს ის დეალურის ფონეტიკურ სახეს.

4) გქკ-ს გაპალატალეზის შესახებ დეალურში (იალღ.) იხ. იალღუზიძის „ანბანი“ გვ. 7. ნიმუშები მოყვანილია აქაც და შემდეგაც იალღუზიძე C.—დან და Rosen-ის ლექსიკონიდან.

დიგ. გ'ქ'ქ'
 დვალ. გ'ქ'ქ'
 ირონ. ჯჩქ,

რაც იმას მოასწავებს, რომ დეალურს თავის ძველ საფეხურზე (იალღ. და Rosen) დიგორულთან ერთად უფრო კარგად დაუცავს გაპალატ. ველარ თან-მოვანთა ძველი სახე, ვიდრე ირონულს, რომელსაც ისინი უკვე აფრიკატებად უქ-ვევია. რაც შეეხება დეალურის ახალ საფეხურს (ე. ი. დღევანდელ სახეს კოშკა-ჯავა-კუდაროში), აქ უკვე დარღვეულია ის ურყევეი შესატყვისობა, რომელიც აი-სიათებდა ძველ საფეხურს გაპალატ. ველარ თანხმოვანთა მიმართ: ამით ნაკვლად დღეს ძალიან ხშირად ისეთივე აფრიკატები ისმის, როგორც ირონულში; მაგრამ ირონულისაგან განსხვავება ამ მხრივ სავსებით წაშლილი მაინც არ არის, ვინა-იდან დეალურში დღესაც საკმაო შემთხვევები გვაქვს გაპალატ. ველარებისა¹, რომელნიც არ გადასულან აფრიკატებად; ირონულში კი გამოუკლებლივ აფრი-კატებია მათ ნაკვლად. ამ მხრივ ქართლის გავლენას ვერ გაამართლებს ვერა-ვითარი მოსაზრება. მაშასადამე, ერთად ერთი დასკვნა შესაძლებელია მხოლოდ ასეთი: გაპალატ. ველარ თანხმოვანთა აფრიკატებად ქცევა ორ-განული მოვლენაა ირონული დიალექტისა და არა დეალურისა; და თუ დეალურში ველართა აფრიკაციას ადგილი აქვს, ეს აიხსნება ირონულის გავლენით და ისიც წარსული საუკუნის განმავლობაში—არა უადრეს, რადგანაც უფრო ადრე თვით ირონულშიაც არა ჩანს ეს მოვლენა: გაიოზ არქიმანდ-რიტის სლავურ-ოსურ კატეხიზმში (1798 წ.)² დადასტურებულია ველები (ალბათ გაპალატალეზული) ხმოვანთა წინ: ჭიდგინ, მიქქაგი, ცითქინ და სხვა.

თვით Sjögren-ის დროსაც კი (40 წწ.) არ ისმოდა ამ შემთხვევებში სრუ-ლი აფრიკაცია: მან (Sjög.) მხოლოდ იწინასწარმეტყველა გაპალატ. ველართა გა-აფრიკატება (op. cit. გვ. 9), რაც ბრწყინვალედ გამართლდა ირონულში.

დეალურს შეეძლო განეცადა ამ მხრივ ირონულის გავლენა მხოლოდ თვით ირონულში გააფრიკატების შემდეგ; იქ კი ეს მოვლენა XIX საუკუნის დასაწყის-ის ადრე არ ყოფილა. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ჩვენს დეალურს (კოშკა-ჯავა-კუდაროში) ემეზობლებიან ირონები (როკისა, პატ. ლიახვისა და ქსნის), რო-მელთაგანაც ზოგნი ჩამოსახლებულან წარს. საუკუნისა, ხოლო ზოგნი მე-18 ე საუკ. განმავლობაში. მართალია 18 საუკუნეში გაპალატ. ველართა გააფრიკატე-ბას ადგილი არ ჰქონდა ძირითად (ჩრდილო) ირონულში, მაგრამ მიდრეკილება ალბათ უკვე არსებობდა: შესაძლოა, რომ ეს მიდრეკილება ჩამოყალიბდა გადმო-სახლებულთა ენაში სწორედ იმ სახით, როგორც ჩრდილო ირონულში. ასეთი მოვლენა ჩვეულებრივია ენათა განვითარებაში.

ამგვარად, გაპალატალეზულ ველარ თანხმოვანთა რეფლექსების მიხედვით ოსური ენა იყოთა ორ ნაწილად: 1) დიგორულ-დეალური, რომელსაც დაუცავს

1) Mill. გვ. 4.

2) როგორც ჩანს შედგენილია ირონულ დიალექტზე. ვსარგებლობ კლავტორტით Reise in den Kaukasus und nach Georgien II B. 1814. გვ. 189 (Anhang) და შემდგ. ამახვე მოწმობს ნიმუშებო Guldenstädt-ის წიგნიდან (Reise durch Russland und im Caucasischen Gebürge, St. Petersburg 1791, გვ. 535 და შემდ.) და უცნობი ავტორის წიგნიდან (Voyages historiques et géographiques... Paris 1798, გვ. 69 და შემდ.).

გაპალატ. ველარები და 2) ირონული, რომელსაც ისინი აფრიკატებად უქცე-
ვია. შეენიშნავ აქვე, რომ „ირონულში“ ვგულისხმობთ როგორც ჩრდილო, ისე
სამხრეთ-ირონულს (იხ. ქვემოთ.)

3. როგორია ოსური ენის დიალექტთა ურთიერთშესატყვისობა ძველი
აფრიკატების მიხედვით? ამ მხრივ დიგორული და ირონული ერთად არიან: ორ-
თავე დიალექტს შენახული აქვს ძველი აფრიკატები მათი სისინა სახით (ც ძ წ)¹.
ხოლო დვალური განცალკევებულად დგას: მას დაცული აქვს ძველ საფეხურზე
(იალლ., Rosen) იგივე აფრიკატები მათი შიშინა სახით (ჩ ჯ კ), მაგალ.:

დიგ. ცარუნ, ირონ. ცარუნ, დვალ. (იალლ., Rosen 39 II) ჩარუნ²
„ვცხოვრობ“

დიგ. ძორუნ, ირონ. ძორუნ, დვალ. (იალლ., Rosen 39 II) ჟურუნ²
„ელაპარაკობ“.

დიგ. წარ, ირონ. წარ დვალ. (Rosen 34 II) ქარ „ქერქი“³.
მაშასადამე, ძველი აფრიკატების შესატყვისობა ოსურის დიალექტებში
ასეთია:

დიგ. ც ძ წ

ირონ. ც ძ წ

დვალ. ჩ ჯ კ (ძველი საფეხური).

რაც შეეხება დვალურის ახალ საფეხურს (კოშკა-ჯაგა-კუდაროს), აქ უკვე
შიშინა აფრიკატების (ჩ ჯ კ) ნაცვლად ისმის უმეტეს ნაწილად შიშინა სპი-
რანტები, სახელდობრ: ჩ-ს ნაცვლად შ; ჯ-ს ნაცვლად ჟ¹, მაგ.:

დვალ. ახ. საფ. შარუნ < იალლ. ჩარუნ, ირონ. ცარუნ; შჯუნ < იალლ.
ჩჯუნ, ირონ. ცჯუნ „სვლა“.

დვალ. ახ. საფ. ჟურუნ < იალლ. ჟურუნ, ირონ. ძორუნ და სხვა. (კ—წ-ს
შესახებ იხ. შენიშვ. 3).

ამ ფაქტების გამო სრულიად მიუღებელია ვ. მილლერის დებულება,
თითქოს სამხრ.-ოსურში (გულისხმობს ჩვენს დვალურს) „ც und d (ირონულისა)
gehen gelegentlich auch in ჩ und ჯ über“ (Mill. გვ. 4). მართალია, 13 გვერდზე

¹) აქ მხედველობაში არ გვაქვს ის შემთხვევები, როცა ირონულ ძ-ს სიტყვის ბოლოში
შეტყუება დიგორ.-ი (იხ. Mill. გვ. 29 § 29. Anm.).

²) Rosen ი არ ხმარობს < და ჴ ნიშნებს; მათ ნაცვლად იგი სწერს ა-სა და ი-ს: ჩარინ.

³) Rosen ი იშვიათ შემთხვევებში მოჰყოფს ც ძ წ აფრიკატებიც (მაგ. ცალარ 32
II. წიბ 29 II, მაგრამ ჩვეულებრივ აქვს ჩ ჯ კ როგორც იალლუხიძეს მუდამ. ცხადია, რომ
Rosen-ის ნიმუშები აქვს სამხრეთ-ირონულთაგან, რომელნიც მრავლად იყენებ (და არიან) გორში,
სადაც იგი მასალებს კრფდა. იალლუხიძე კი გადმოგვიცემს ერთი განსაზღვრული დიალექტის
გამოთქმას.

⁴) საყურადღებოა, რომ წ-ს არ შეხება სპირანტიზაცია. ეს ფიზიოლოგიურადაც შეუძლებე-
ლია, რადგანაც, ჩვენის აზრით, ჴ ეკუთვნის მკვეთრთა ჯგუფს („მკვეთრების“ შესახებ იხ. ავტო-
რის „მკვეთრი ხშულნი ქართულში“, ტფ. უნივ. მოამბე № 2 გვ. 113 და შემდ.). აღსანიშნავია
მასთანვე, რომ ჴ-ს ნაცვლად დღეს დვალურში ისმის ხშირად წ, დვალურის ძველი საფეხ-
ურისთვის (იალლ.) სრულიად უჩვეულო: როგორც ჩანს. ჴ-ს გასპირანტების შეუძლებლობას გზა
გაუხსნია ირონულის ამ მხრივ გავლენისათვის: ირონულს ამ ჴ-ს შესატყვისად წ ქონდა.

იგი ამბობს: „Bei den Tualen hört man für o. oss (ირონ.) den Laut ჯ, der nicht
selten in weiches ყ übergeht...“, მაგრამ აშკარაა, რომ: 1) ის ვერ არჩევს დვა-
ლურს სამხრეთ-ირონულისაგან, 2) მას არა აქვს გათვალისწინებული, რომ ში-
შინა აფრიკატები დამახასიათებელი მოვლენაა დვალურის ძველ საფეხურისათვის
ირონულთან შედარებით (მას არ მოჰყავს ც: ჩ) და 3) მას ვერ შეუმჩნევია, რომ
დვალურის ახალ საფეხურზე ეს შიშინა აფრიკატები ს ა ე რ თ ო დ იცვალა შიშინა
სპირანტებად (მას არ მოჰყავს ჩ: შ). საბედნიეროდ ჩვენ დადასტურებული გვაქვს
დვალურისათვის ის (ძველი) საფეხური, სადაც არა „gelegentlich“, არამედ გა-
მოუკლებლივ ჩ, ჯ და ჴ გვაქვს ირონულის ც, ძ და წ-ს შესატყვისად. იმავე დვა-
ლურის ახალ საფეხურზე ჩ და ჯ გვხვდება სპორადულად. საკმარისი იყო ეს გა-
რემოება მიეღო მხედველობაში მილლერს და არ უაუშვებდა შემდეგ შეცთო-
მასაც, სახელდობრ: ც und d klingen fast wie ს und ზ vor Vocalen wobei ს und ზ
öfters nicht nur vor weichen Vocalen (i, e), sondern auch vor s, ა in ს', ზ' oder შ'
ყ' übergehen“ (იქვე). მთავარი შეცთომა აქ ისაა, რომ გამოსავალ წერტილად
დვალურისათვის მიღებულია ირონული (თუნდაც სამხრეთ-ირონული) და არა
დვალური (იალლ., Rosen)¹. თუ ჩვენ გამოვალთ დვალურის (იალლ. Rosen) ჩ
ჯ-დან, რომელნიც შ ყ დ იცვალენ, საკითხი სრულიად მარტივად წყდება. რაც
შეეხება დვალურში ს და ჴ-ს არსებობას ირონულის ც და ძ-ს შესატყვისად, ამის
დადასტურება ჩვენ ვერ შევძელით ვერც ერთი შემთხვევით. თვით მილლერს
ძალიან ცოტა მ:სალა აქვს „სამხრეთ-ოსურისათვის“ (Милл. III 170—177). ადვი-
ლი შესაძლებელია, რომ ეს ს და ჴ ინდივიდუალური გამოთქმაც იყოს. ამას
გვაფიქრებინებს მის მიერ დასახელებულის (Милл. II. 40). ვინმე თ ა მ უ რ ა ზ
ხ ე თ ა გ უ რ ო ვ ი ს გამოთქმა. ამას გარდა ნ ა რ ი ს რ ა ა ო ნ ი, საიდანაც ყოფილა
თ ა მ მ უ რ ა ზ ხ ე თ ა გ უ რ ო ვ ი, გარდამავალ დიალექტს წარმოადგენს და არა
დვალურს (მილლ. „სამხ.-ოსურს“); ნარის რაჟონში კი ეს ს და ჴ შესაძლოა
წარმოადგენდეს ირონული ც, ძ-სა და დვალური შ, ყ-ის კომპრომისს... ს' და
ჯ'-ს არსებობა კი („შ' და ყ'-სთან ერთად) მართლაც შესაძლებელია, რამდე-
ნადაც ს' ჴ' და შ', ყ' ერთი ტიპის ბგერებია; მაშასადამე, ს' და ჴ' განვითარე-
ბულია არა ს და ჴ-საგან, არამედ ბგერინაცვალა დვალური შ და ყ-სი, რომელ-
ნიც თავის მხრივ განვითარდნ ჩ და ჯ-საგან.

აქაც უნდა ვთქვათ, რომ დვალურზე ქართულის გავლენით არ შეიძლება
აიხსნას მოყვანილი ფაქტები.

ამგვარად ძველი აფრიკატების მიხედვით დვალური არსებითად განსხვავ-
დება როგორც ირონულისაგან, ისე დიგორულისაგან; დვალურის ძველ საფე-
ხურზე ჩვენ გვაქვს შიშინა აფრიკატები დიგ.-ირონულის სისინა აფრიკატების
შესატყვისად, ხოლო ახალ საფეხურზე ეს განსხვავება უფრო მეტად გაღრმავ-
ებულია მით, რომ შიშინა აფრიკატები სპირანტებად ცვლილა.

¹) ერთერთ ჩვენს შრომაში („იალლუხიძის თარგმანთა მნიშვნელობა ოსური ენის ისტო-
რიისათვის“, წაკითხ. მოხსენებად ქართ. საენთმეცნიერო საზ.—ში...) აღვნიშნეთ ვ. მილლერის
უყურადღებობა იალლუხიძისადმი. დავემატებ აქვე, რომ იმასვე სჩადის ის Rosen-ის მი-
მართაც, რომელსაც იგივე ფაქტები აქვს დადასტურებული, რაც იალლუხიძეს.

საყურადღებოა, რომ აქ—ძველი აფრიკატების მიმართ—ირონული დიალექტი გაცილებით ნაკლებ გავლენას ახდენს დეალურზე, ვიდრე გაპალატ. ველარებზე. როგორც ჩანს ძველი შიშინა აფრიკატები უკვე გასპირანტების გზაზე ადგა დეალურში, როცა ირონულის გავლენა დაიწყო: ძალიან დაშორებული თანხმოვნები არიან ირონ. ც ძ და შ ყ ურთიერთისაგან, რომ გავლენას ადგილი ჰქონოდა. პირიქით, გაპალატ. ველარ თანხმოვნებს უკვე აქვს თავისთავად ტენდენცია გააფრიკატებისა: ამდენად ირონ. ჩ ჯ ახლოს არის დეალურის ქ' გ'-სთან; ამიტომ აქ გავლენას მეტი ძალა ექნებოდა და აქვს კიდევ.

ამგვარად, ძველი აფრიკატების მიხედვით ოსური ენა იყოფა ორ ჯგუფად: 1) დიგორული და ირონული (ჩრდილო და სამხრეთის), რომელნიც ძველ აფრიკატებს წარმოგვიდგენენ მათი სისინა სახით, და 2) დეალური, რომელსაც ისინი დაუტყავს მათი შიშინა სახით ძველ საფეხურზე, ხოლო ახალ საფეხურზე უცვლია შიშინა სპირანტებად (ჰ-ს გარდა, იხ. ზემოთ).

4. ზემოთ მოყვანილი ფაქტებისა და დასკვნების თანახმად გაპალატ. ველართა და ძველი აფრიკატების რეფლექსების მიხედვით ჩვენ უფლება გვაქვს მოვსპოთ ვ. მილლერის ტერმინი „სამხრეთ-ოსური“, რადგანაც, როგორც აღმოჩნდა, იგი შეიცავს ორ სხვადასხვა დიალექტურ ერთეულს. მის ნაცვლად ჩვენ შემოგვაქვს „დეალური“ (უმთავრესად კოშკა-ჯაევა-კუდაროს რაიონის დიალექტის მნიშვნელობით) ¹ და, თუ ეს საჭირო იქნება, „სამხრეთ-ირონული“ (უმთავრესად პატარა ლიხვისა და ქსნის ხეობათა ოსურისათვის ², რადგანაც ეს უკანასკნელი თითქმის არაფრით არ განსხვავდება „ჩრდილო-ირონულისაგან“ (=მილლერის „ირონულს ანუ აღმოსავლ.-ოსურს“) ³. უფლება გვაქვს აგრეთვე დეალურს მივანიჭოთ მესამე დიალექტის (და არა აღმოს.-ოსურის ქვედიალექტის) სახელწოდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ძველ აფრიკატთა ბედი, რომლის მიხედვითაც ოსური ენა იყოფა ორ ჯგუფად: 1) ქედს გადალმა ოსური+სამხრეთ ირონული—სისინა აფრიკატებიანი და 2) დეალური—შიშინა აფრიკატებიანი (ძველ-საფეხურზე) ან შიშინა სპირანტებიანი (ახალ საფეხურზე). ამ ორ ჯგუფთა შორის აფრიკატების მიმართება მოგვაგონებს, მაგ., ქართულის მიმართებას მეგრულისადმი ან დასავლეთ სლავურისას (მაგ. პოლონ.) აღმოსავლეთ სლავურისადმი (მაგ. რუს.).

5. რამდენად ძველი მოვლენაა დეალურში ზემოთ განხილული დიალექტური განსხვავებანი?—ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გაპალატ. ველარ თანხმოვანთა მიხედვით დეალური გვერდში უდგას დიგორულს: ეს კი ირონულთან შედარებით ამ მხრივ უფრო არქაიულ სახეს წარმოგვიდგენს (Милл. II. 44). დეალურის შიშინა აფრიკაცია ძველი მოვლენა უნდა იყოს, ე. ი. ამ ნიშნულობის მიხედვით დიალექტური განსხვავება უნდა არსებულებოდა ოსური ენის უძველეს პერიოდშიც. ყოველ შემთხვევაში იმის შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა ჩვენს მიერ, მიუღებელია მოსაზრება, თითქოს დეალურის შიშინა აფრიკაცია განვითარებული იყოს სისი-

¹) „დეალური“, იხე როგორც „სამხრეთ-ირონული“, დაუვლია აქა-იქ საქართველოს სხვა კუთხეებშიც—იმის მიხედვით, თუ საიდან არიან გადასახლებული ოსები.
²) ამის შესახებ იხ. კიდევ ავტორის „დეალური თუ სამხრეთ ოსური“? (ჩვენ ი მეცნიერება 1925 წ. № 3—4.)

ნასაგან, რაც გამომდინარეობს ვ. მილლერის ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან. შესაძლოა დეალურის შიშინა აფრიკატებმა და ირონულის სისინებმა შესცვალეს მათი წინამოადგილე ჩვენთვის უცნობი ბგერები, მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ ნაგულებზე უძველეს დიალექტურ განსხვავებას დეალურისას: მით უფრო, რომ არის ცნობა VII საუკუნის ფარგლებში ქ. შ. „დუალი“-ის, როგორც ტომის, არსებობისა ქედს გადალმა. ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად არა გვაქვს მასალა არც ოსური ენის შესწავლის მხრივ და არც ოსთა შესახებ ისტორიული ცნობების დამუშავების მხრივ: ასეთ პირობებში ისიც მნიშვნელოვანია, რომ სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში მოხსენებულია „დუალი“ ¹. ვ. მილლერის აზრით ეს უდრის დღევანდელ დვალს (თვალთს) ². თუ ჩვენ ვიგულებთ, რომ მაშინდელი დვალელები ოსურად მეტყველებდნენ, საფიქრებელია აგრეთვე, რომ მათი ცალკე დასახელებით (მოხსენებულია აგრეთვე დიგორი და ალანი [ირონი], როგორც ტომები) ავტორი აღნიშნავს მათ ენობრივ განსხვავებასაც დანარჩენ ოსთაგან. ეს დვალეები უნდა იყვნენ ქედს გადალმა ოსთა მოძრაობის პირველი ტალღა. საქართველოს დვალეთსაც მათგან უნდა მიეღო სახელწოდება. მათ დროგამოშვებით (უკანასკნელ საუკუნემდე) მოჰყვებოდა ოსთა ახალ-ახალი ტალღები, რომელთაც ოსი-დვალეები ნაწილობრივ დასავლეთისაკენ მისწიეს, ხოლო ნაწილობრივ თავის მასაში გათქვიფეს. დასავლეთისაკენ (კოშკა-ჯაევა-კუდაროში) მიწეულნი მოხვდნენ ენობრივად მათთვის უცხო წრეში, რის წყალობითაც მათ შეეძლოთ შეენარჩუნებიათ თავიანთი ენის ძველი სახე.

6. არ შეიძლება უყურადღებოდ იქნეს დატოვებული ის გარემოება, რომ ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელწოდებებში დღემდე შენახულა შიშინა აფრიკატები ისეთ კუთხეებში, სადაც ცოცხალ მეტყველებაში დღეს სისინა აფრიკატებია ან შიშინა სპირანტები. მოვიყვან რამდენსამე ნიმუშს:

1) ქედს გადალმა, ისტორიული დვალეთის ფარგლებში ³ და მის ახლო-მახლო:

ა ბიჩვავთ-უკ—სოფელია დიდი ლიხვის ხეობის დასაწყისში, კოშკასა და როკს შუა. დღეს ამ რაიონში სისინა აფრიკატები ისმის. სახელწოდებები გვხვდება აგრეთვე სისინა აფრიკატებითაც (მაგ. ცვათ.), რომელნიც ირონული წარმოშობის უნდა იყონ.

ბ. ყოლიგ—სოფელია სსს-ს სამხრეთით. ამ სახელწოდებაში აფრიკატის გარდა საყურადღებოა ძირეული ვოკალიზაცია: დვალ. ვიულ (ილლ., Rosen), ირონ. იულ, დიგ. ძოლ (Sjögren, op. cit., გვ. 393 ლექსიკონი) „პური“; როგორც ჩანს, ყოლიგ შენახულია დიგორული ვოკალიზაციით. შეად. ამას ქედს გადალმა სუნჯის რაიონში სახელწოდება ვოლ.

¹) Ar. Soukry-ის გამოცემა, ვენეცია 1881, გვ. 26 (სომხ. ტექსტისა).
²) Милл. III 104-108.
³) ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიით“ (მ. ჯანაშვილის რედაქცია, ტფ. 1904 წ., გვ. 177 და შემდ.



გ. ჩვკათ-ჩიფრაქ და ჩვკათს—სოფლებია კოშკის რაიონში, სადაც დღეს შიშინა სპირანტებს აქვს ადგილი. შეად. ამას ზემოთ მოყვანილი ცვკათ.

დ. ჩვქინა—სოფელია დიდი ლიახვის ხეობაში ჯავისა და კოშკის შუა.

ე. ჯვღითა—სოფელია კოშკის ჩრდილოეთით.

ვ. ბესნო—მთაა და სიმაგრე ქნოლოს რაიონში¹. საყურადღებოა, რომ ამგვარი სახელწოდება იმავე შიშინა აფრიკატით გვხვდება ქედს გადაღმა მდ. ურუხის თერგთან შესართავის ახლოს (61-30⁰, 43-30⁰), სახელდობრ ბახჩეა²; აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამავე რაიონში (61-15⁰ 43-30⁰) არის მთა აუჯთა-ბანზონ(დ): შესაძლოა თვალთ-ბანზონდ-ის³ ნაცვალ იყოს.

ზ. ქარჩოხი—სოფელი და ციხე ქსნის დასაწყისში, ცხრაზმის რაიონში. შეად. ქედს გადაღმა მდინარე ჭიაგლონზე ზემო და ქვემო ქარცა).

ც. ერენჯავის ციხე (თ. ჟორდანი, op. cit. გვ. 15, შენ. 59) იმავე რაიონში.

თ. ჩორჩოხი—სოფელია იმავე რაიონში. შეად. ამას ქედს გადაღმა მდინ. ჩუხჩურ-სუ (ერთვის მდინ. ჩეგემს.)

ი. ჩუდ-მთაა თრუსოში. საყურადღებოა აქაც (დიგორული) ვოკალიზაცია (იხ. ზემოთ ჯოლიაგ), თუ ჩუდ უდრის დღევანდელ დიგ. ცუდ „სელა“-ს.

ჟ. ქედს გადაღმა. ზემოთ მოყვანილთ გარდა:

ა. ჩიმი—(ვახუშტი, გვ. 186). აქ რომ ძველი აფრიკატია, ჩანს იმავე რაიონის ციხითიდან (ვახუშტის ჩიმიოი, გვ. 187, მდინ. ჭიაგლონზე). შეად. დღევანდელი ჩიმი იქვე და მდინ. არღონზე ზარამაგის აღმოსავლეთით.

ბ. ჩას—აღბათ ქას⁴—მთაა ლარსის ჩრდილო-დასავლეთით.

გ. ჯაბა—სოფელია ქურთაულში (ვახუშტის რუკით).

დ. ქარჯენ—სოფელია და მდინარე დარღოხის ახლოს. შეად. ამას მალყარ. გარჟინ (Милл. III. 9).

¹) ვახუშტის გეოგრაფიაში (გვ. 103) „ციხე ბეჟო“. თ. ჟორდანიას კრონიკებში (წიგნი II, ტფ. 1897) „ძველი ზრისთავთა“: „მთასა ბებშუისასა“ (გვ. 14), „ციხესა ბებშუისასა“ (გვ. 15), „ბებშუის გარეშე ციხისა“ (გვ. 16)

²) ბეხჩო-ს წარმოებისათვის შეად. დიგორ. მელანცო „ღრუბელთმავალი (მაგ. ცხენი)“, Дигорские сказания ვ. შილდერისა, მოსკოვი 1902, გვ. 38.

³) „დვალთა მთა“.

⁴) ირონ. წას, დიგ. წასს „ხერელი, კუპრუტანა“; დვალურად იქნებოდა ქას.